თბილისის საქალაქო სასამართლომ საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე კონკურსი შეაჩერა

თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი დირექტორის გიორგი ბარათაშვილის სარჩელი, რომლითაც ის ითხოვს სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 04 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, სამუშაოზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩაინიშნა 2013 წლის 08 აპრილს 12:00 საათზე.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობის დასაკავებლად მიმდინარე ღია კონკურსი.

გიორგი ბარათაშვილის ინტერესებს სასამართლოში საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის იურისტები იცავენ.